მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ. ახალციხე 01 ოქტომბერი 2024 წელი

შეთანხმების მონაწილეები

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტი", მისამართი: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113), რექტორის, პროფესორ. მაკა ბერიძის სახით და სსიპ ქალაქ ახალქალაქის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში "სკოლა", მისამართი: ქ. ახალქალაქი, თუმანიანის ქ.N31) დირექტორის ანაიტ აბგარიანის სახით (შემდგომში "მხარეები"), ისწრაფვიან რა, ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, მხედველობაში იღებენ საგანმანათლებლო თანამშრომლობაში ორმხრივ დაინტერესებას, მხარეთა მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

ა) მემორანდუმის მიზანია უნივერსიტეტსა და სკოლას შორის მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობა განათლების სფეროში;
ბ) უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (60 კრედიტიანი) /დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის/ მიმდინარე პროექტების ფარგლებში ერთობლივი საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

1. მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ:
ა) ამ მემორანდუმის პირველი მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტების/მსმენელების მიერ სასკოლო პრაქტიკის გავლა/შესაბამისი აქტივობების შესრულება სკოლაში ისე, რომ სასწავლო პროცესში დაცული იყოს პროგრამით გათვალისწინებული საათების რაოდენობა (დისტანციური და/ან კონტაქტური ფორმით);
ბ)სკოლის პედაგოგთა სამეცნიერო კონფერენციებში ჩართვა;
გ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ, სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებში და სასწავლო საგნობრივ ოლიმპიადებში აქტიური ჩართვა;

დ) აკადემიური პერსონალის მიერ უნივერსიტეტში არსებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სკოლის პედაგოგთა სასერთიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადება და გადამზადება;
ე) ერთობლივი საგანმანათლებლო - შემოქმედებითი ღონისძიებების მოწყობა;
ვ) სკოლის მოსწავლეებისათვის საჯარო ლექციების ჩატარება სხვადასხვა დარგობრივი დისციპლინების მიხედვით შესაბამისი აკადემიური პერსონალის მიერ;
ზ) ხელი შეუწყონ მემორნდუმის მიზნების განხორციელებას.

2. ამ მემორანდუმის პირველი მუხლის „ბ" პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად:
ა) სკოლა იღებს ვალდებულებას:
- უზრუნველყოს უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამის სტუდენტები/მსმენელები პრაქტიკის/სხვადასხვა აქტივობების განხორციელებისათვის ყველა საჭირო პირობით (არაუმეტეს 10 სტუდენტი/მსმენელი);
- უნივერსიტეტის სტუდენტებსა და მსმენელებ გააცნოს სკოლის შინაგანაწესი;
- შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში არ დაუშვას სტუდენტი/მსმენელი პრაქტიკის ობიექტზე;
ბ) უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას:
- უზრუნველყოს სკოლის ინფორმირება სტუდენტთა/მსმენელთა გაგზავნასთან დაკავშირებით გაგზავნამდე 2 (ორი) კვირით ადრე;
- მიიყვანოს სტუდენტები/მსმენელები პრაქტიკის ობიექტზე (სკოლაში);
- სკოლის სიტყვიერი ან წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე, სტუდენტის/მსმენელის მიერ სკოლის შინაგანაწესის უხეში დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სტუდენტი/მსმენელი გამოიწვიოს სკოლიდან.

მუხლი 3. დასკვნითი დებულებები

1. მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები და პირობები შეიძლება განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება მოლაპარაკების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ძესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, რაც გაფორმებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით.

4. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან.

5. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების შეწყვეტის წერილობითი ფორმის სურვილის გამოთქმამდე.

სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი მის: ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 113	სსიპ ქალაქ ახალქალაქის N2 საჯარო სკოლა მის: ქ. ახალქალაქი, თუმანიანის ქ.N31
მაკა ბერიძე რექტორი	ანაიდ აბგარიანი დირექტორი